საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავთისხევი

სოფელი კავთისხევი.

კავთისხევი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: კ., გუდალეთი, ეზატი, თვალადი, მირიანი, ქებაანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, წიფორი). ზ. დ. 670 მ, კასპიდან 12 კმ. 864 მცხ. (2014).

სოფლის სახელწოდება უკავშირდება მდ. კავთურას. კ-ის უძველესი უბანია ციხისუბანი, სადაც შემორჩენილია თარხნიშვილთა ციხე-გალავნის საძირკველი. თარხნიშვილები გ. სააკაძის შთამომავალნი იყვნენ, ხოლო სააკაძეთა წინაპრები კ-ის მოურავები ყოფილან, რასაც მოწმობს გულშარა დედოფლის სიგელი კ-ის მოურავის – ივანე სააკაძისადმი. 1653 სიგელით ქართლის მეფე როსტომმა იორამ თარხან-მოურავს დაუმტკიცა კ-ის სათარხნო მამული.

კ-ს ხშირად თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ამიტომ ხალხი მას შავსოფელსაც უწოდებდა.

სოფელში, მონასელიანთ უბანში, დგას VII–IX სს. კავთისხევის კატაულას წმინდა გიორგის ეკლესია; თხინვალაანთ უბანში – ადრინდ. შუა საუკუნეების კავთისხევის ლომისის ეკლესია და 1886 ოსტატ ჯაბადარის მიერ აგებული წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია; ძლევის ქედზე – განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული ძლევის ქედის წმ. გიორგის ეკლესია; ხვედრელიანთ უბანში, ძველ სასაფლაოზე – განვითარებული შუა საუკუნეების წმ.

ნიკოლოზის ეკლესია. სოფელში, მონასელიანთ უბანში, 1963 აღმოჩნდა XVI–XVIII სს. აკლდამა, ხოლო ე. წ. „ლოდების მიწებში“ – მელითონეთა განძი, რ-იც ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულით დათარიღდა. სოფლის მიდამოებში გამოვლინდა რამდენიმე ნამოსახლარი, რ-თა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ციხიაგორას ნამოსახლარი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია